

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი ფოფხაძე

მექატრონიკული სისტემების ეფექტურობის ამაღლება „ინდუსტრია-4.0“-ის
რეფორმის უზრუნველყოფის მიზნით

სადოქტორო პროგრამა - მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია

შიფრი - 0715

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ფინანსური მხარდაჭერით [PHDF-19-2224, “მექატრონიკული სისტემების
ეფექტურობის ამაღლება „ინდუსტრია-4.0“-ის რეფორმის უზრუნველყოფის
მიზნით”]

თბილისი

2022 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი
მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგიის დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფესორი რაულ თურმანიძე

რეცენზენტები: პროფესორი პაატა კერვალიშვილი

პროფესორი ზაურ ჩიტბე

დაცვა შედგება 2022 წლის ” ” , საათზე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის
ინჟინერიის ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი I, აუდიტორია
მისამართი: 0160, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოტეკაში,

ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი ასოც. ფროფ. ირინე უგრეხელიძე

ნაშრომის მოკლე დახასიათება

თემის აქტუალობა: დღეისათვის თითქმის ყველა ქვეყანაში ნებისმიერი მკვლევარი ცალსახად აღიარებს, რომ XXI საუკუნის დასაწყისში, მთელი მსოფლიო იმყოფება მეოთხე სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის მიჯნაზე, რომელმაც ფუნდამენტურად უნდა შეცვალოს აზროვნების დონე და სტილი ანუ თვითოეული ადამიანის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის ცხოვრების წესი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ეს განპირობებულია იმით, რომ მრავალი მეცნიერის და ფართოპროფილიანი კვლევითი ცენტრების თანამშრომელთა მტკიცებით კარსმოდგარი ცვლილება წარმოდგენილი შემოკლებული დასახელებით "ინდუსტრია-4.0" იქნება ერთ-ერთი ყველაზე მსხვილმასშტაბიანი რეფორმა კაცობრიობის ისტორიაში ჩატარებულ რეფორმებს შორის.

პირველი ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის სამი საუკუნე, მრეწველობის სხვადასხვა ოპერაციების მექანიზაციისათვის გამოყენებული იყო მხოლოდ ორთქლის ძრავი ანუ წყალი და ორთქლი.

მეორე რევოლუციის შედეგად ელექტროენერჯის გამოყენების საფუძველზე შეიქმნა მრავალი ნაკეთობების მასიური წარმოებები სახალხო მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებებში.

მესამე რევოლუციის პერიოდში ელექტრონული და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით საწარმო პროცესები გახდა ავტომატიზირებული. დღეისათვის მესამე რევოლუციის შედეგების საფუძველზე ვითარდება მეოთხე ტექნიკური რევოლუცია, რომელიც ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს. მათი შემუშავება დაიწყო ჯერ კიდევ წინა საუკუნის ბოლო წლებში და გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმას და

ფიზიკურ, ციფრულ და ბიოლოგიურ სფეროებს შორის ყოველგვარი საზღვრების გაქრობას ანუ კიბერ-ფიზიკური სისტემების შექმნას.

უკანასკნელი წლების საერთაშორისო კონფერენციებზე, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში, სამეცნიერო კრებულებში და სხვა საინფორმაციო საშუალებებში არსებობს ამ დარგის ცნობილი უცხოელი და ქართველი მეცნიერების უამრავი პუბლიკაცია მაგ: ი. კარაბეკოვიჩის, პ. დაშიჩის, ბ. კარპუშევსკის, ა. ბატაკოს, ი. კუზნეცოვის, გ. პოპოვის, რ. გიორგიევის, ვ. ივანოვის, ა. ზალოგას, ა. ტონკონოვის, ა. გრაბჩენკოს, პ. კერვალიშვილის, რ. თურმანიძის, დ. გუიდას, ა. ავდეენკოს და სხვა სპეციალისტების ნაშრომები, რომლებშიც გაანალიზებულია „ინდუსტრია-4.0“-ის პროგრამებით გათვალისწინებული საკითხების მრეწველობის სხვადასხვა მიმართულების თანამედროვე დარგების საწარმოებში დანერგვის შედეგად მიღებული ეფექტურობა, შედეგების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებული თეორიული კანონზომიერების განზოგადოება სხვა ანალოგიური და მონათესავე პროფილის საწარმოებისათვის და მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტურობის წინასწარ გაანგარიშების ძირითადი პრინციპები.

სხვადასხვა მიმართულებით ჩატარებული ანალოგიური სამუშაოების შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებულია „ინდუსტრია-4.0“-ის მიზნები და მოხაზულია ამ რეფორმების დამთავრების საბოლოო მიახლოებითი კონტურები.

მაგრამ სამწუხაროდ ვერცერთ ლიტერატურაში ან ინფორმაციაში თქვენ ვერ შეხვდებით მოკლე და ღრმად შინაარსიან კომპაქტურ განმარტებას, რომლის მცდელობაც გაკეთებულია ჩვენს მიერ, რომელიც დღემდე მუშაობს და ჯერჯერობით გაუმჯობესებული ვარიანტი არ გამოჩენილა, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

“ინდუსტრია-4.0” რეფორმის საბოლოო მიზანია რთული საწარმოო-ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ-ფინანსური ოპერაციების სრული ავტომატიზაცია და მათი დისტანციური მართვა სუპერთანამედროვე მექატრონული სისტემების მეშვეობით.

ცნობისათვის აქვე მინდა ავლნიშნო, რომ საინფორმაციო საშუალებებში უკვე გამოჩნდა მწირი მაგრამ ძალიან საინტერესო ინფორმაცია „ინდუსტრია-5.0“-ის წინაშე მდგარი საორიენტაციო ამოცანების შესახებ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თუ „ინდუსტრია-4.0“-ში შემსრულებელი ელემენტები ბრძანებებს იღებენ უშუალოდ ადამიანისგან ან რთული პროგრამების მეშვეობით „ინდუსტრია-5.0“-ის შემთხვევაში მათი მართვა განხორციელდება ჭკვიანი რობოტების და სპეციალური სენსორების მეშვეობით ანუ ხელოვნური ინტელექტით.

უდავოა, რომ ასეთი ტიპის ამოცანებზე მუშაობა ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერებისა და განსაკუთრებით მომავალი თაობისთვის იქნება ძალზე საინტერესო და საპატიო.

წარმოდგენილ ნაშრომში მოყვანილია იმ ძირითადი სავარაუდო პრობლემების ანალიზის შედეგები, რომლებიც შეიძლება წარმოშვას "ინდუსტრია-4.0" რეფორმის განხორციელებისას. დადასტურებულია, რომ ამ რეფორმის განხორციელების ტემპი და ხარისხი ძირითადად განისაზღვრება გამოყენებული მექატრონული სისტემების ეფექტურობით.

ასევე დადგენილია, რომ რადიო-ელექტრონული მოწყობილობების, მიკროელექტრონული აპარატურისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის სისტემატური მინიატურიზაციის შედეგად, ამ რეფორმების მთავარი პრობლემაა კომპლექსური ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების ინსტრუმენტალური უზრუნველყოფა, განსაკუთრებით მჭრელი მიკრო იარაღებით. ამიტომაც ამ მიკრო ინსტრუმენტების მაგალითზე ნაჩვენებია

რადიოელექტრონული აპარატურის საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესების ძირითადი გზები და მეთოდები.

პირველი სამი რევოლუციის შედეგები იყო საერთო და გამოყენებული იქნა თითქმის ყველა ქვეყანაში, ყველა საწარმოში და პრაქტიკულად თითოეული ადამიანის მიერ. მაგრამ, მეოთხე რევოლუციის განვითარების პროცესი და შედეგების პრაქტიკაში გამოყენების ხარისხი მის სხვადასხვა ეტაპებზე იქონიებს თავისებურ ხასიათს მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის. საბოლოოდ ძირითადი პრინციპები იქნება საერთო, მაგრამ, რადგანაც საწარმოების თითოეულ კონკრეტულ მიმართულებას აქვს თავისი სპეციფიკური თანამედროვე, მრავალპროფილიანი და მრავალი პარამეტრის მქონე ტექნოლოგიები მათი პროექტირებისა და მართვისათვის აუცილებელია სპეციალური ცოდნა და ინდივიდუალური მიდგომა.

ზემოთ ჩამოთვლილი ისეთი დონის მექატრონული სისტემების შექმნა, რომელიც განსაზღვრავს ინდუსტრია ოთხის რეფორმის ტემპს და მიღწეულ დონეს სხვადასხვა პროფილის საწარმოებში საჭიროებს მაღალი სიზუსტის მქონე დანადგარებს და სპეციალური დანიშნულების სხვადასხვა კონსტრუქციის მიკროინსტრუმენტებს.

უდავოა, რომ ასეთი საექსპლუატაციო მახასიათებლების მქონე მოწყობილობებისა და მიკროინსტრუმენტების შექმნა წარმოადგენს თანამედროვე პრეციზიული მანქანათმშენებლობის ერთ-ერთ ყვლაზე აქტუალურ ამოცანას.

კვლევის მიზანი: მექატრონული სისტემების და მათი საპასუხისმგებლო მოდულების საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება განსაკუთრებით მინიატურიზაციის ეტაპებით ან სხვა მოთხოვნებით ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის ექსტრემალურ პირობებში.

კვლევის მეთოდოლოგია და ამოცანები: მჭრელ იარაღებზე ჩატარებული მრავალმხრივი ექსპერიმენტებისა და კვლევების შედეგად დადგენილია, რომ იარაღების ჭრისუნარიანობის და მედეგობის საგრძნობი გაზრდა რაიმე აუცილებელი მიზეზით და მათ შორის მინიატურიზაციის ყოველი შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად შესაძლებელია რამოდენიმე გზით:

1. ახალი საიარაღო მასალების შექმნით;
2. მჭრელი იარაღის გეომეტრიული პარამეტრების ოპტიმიზაციით;
3. მჭრელი იარაღების დამზადების ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებით;
4. მათი ექსპლუატაციის კიდევ უფრო ეფექტური პირობების შექმნით.

იდეალური ვარიანტია თუ ხდება რამოდენიმე ან ყველა პუნქტის ერთდროულად განხორციელება.

მათი აქტუალობიდან გამომდინარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინ დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები და განხორციელებულ იქნა ყველა ძირითადი მიკროინსტრუმენტების კლასიფიკაცია, რომელიც გამოიყენებოდა მიკროელექტრონიკისა და მიკროელექტრონული ტექნოლოგიის საწარმოებში. დადგინდა, რომ ისინი იყოფიან სამ ძირითად ჯგუფად: მჭრელი, სამონტაჟო და საამწყობო. თითოეულ ჯგუფში შედის ინსტრუმენტების ქვეჯგუფები მათი გამოყენების კონკრეტული მიმართულების ტიპებისა და ზომების მიხედვით.

დაიწყო თითოეულ ჯგუფსა და ქვეჯგუფებში შემავალი ინსტრუმენტების საექსპლუატაციო მახასიათებლების გაუმჯობესება, ახალი უფრო ეფექტური კონსტრუქციების შექმნა და მათი დამზადების ეფექტური ტექნოლოგიების შემუშავება, რომლებიც დაწვრილებით არის ნაჩვენები სადისერტაციო ნაშრომში.

ყველა ეს ინსტრუმენტი გამოიყენება ძალიან დიდი რაოდენობით, რადგან თანამედროვე ტექნიკის და ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი ნაწილი, დაწყებული საყოფაცხოვრებო და დამთავრებული კოსმოსური აპარატურით, არის ჰიდრო და პნევმო აპარატურების, მიკროელექტრონული მართვის ბლოკების და მექანიკური კვანძების ერთობლიობა, რაც წარმოადგენს თავისთავად რთულ მექატრონულ სისტემას. მათ დასამზადებლად საჭიროა განხორციელდეს სხვადასხვა პროფილის მრავალი ტექნოლოგიური ოპერაცია, რაც წარმოუდგენელია სათანადო ინსტრუმენტალური უზრუნველყოფის გარეშე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რადიოელექტრონული ხელსაწყოების საექსპლუატაციო ფუნქციების ინტენსიურად ზრდისა და მათი გაბარიტული ზომების უწყვეტად მინიატურიზაციის გამო გასული საუკუნის ბოლო წლებში ნაბეჭდი პლატებისა და სხვა პრეციზიული დეტალების ბურღვისათვის ძირითადი მოთხოვნა იყო სპირალურ ბურღებზე, რომელთა მუშა ნაწილის დიამეტრი იცვლებოდა დიაპაზონში 0,8-1 მმ. 2000-2010 წლებში მოთხოვნილი ბურღების მუშა დიამეტრი მონოტონურად შემცირდა 0,5 მმ-დე. 2017 წლის საერთაშორისო გამოფენებზე გამოჩნდა უკვე მოთხოვნები სპეციალური დანიშნულების მიკროელექტრონული ხელსაწყოებისთვის საჭირო პლატების დასამზადებლად დიამეტრით 0,2-0,5 მმ. ხოლო მიმდინარე წლის მოთხოვნებში გამოჩნდა ციფრები 0,1-0,15 მმ. ადვილი წარმოსადგენია რა მოხდება მომდევნო თუნდაც უახლოეს წლებში.

ნაბეჭდ ფილებზე ნახვრეტების მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები, მაგრამ პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყველაზე მისაღები მეთოდი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მრავალფენიანი პლატების დამუშავება ხდება ნახვრეტების ზედაპირების შემდგომი მეტალიზაციით, დღევანდელ დღემდე შეუცვლელია სალი შენადნობების ბურღებით.

ამ დარგის სპეციალისტებისათვის კარგად არის ცნობილი, რომ სალი შენადნობის ბურღების მუშა დიამეტრის ასეთი ტემპით შემცირება მოითხოვს შესაბამისად, როგორც საიარალო მასალების სალი შენადნობის ფიზიკურ-მექანიკური და სხვა თავისებების სისტემატურად გაუმჯობესებას, ასევე მათგან შემცირებული დიამეტრის ინსტრუმენტების-ბურღების, ფრეზების, კომბინირებული და სხვადასხვა სპეციალური ინსტრუმენტების დამზადების ტექნოლოგიური პროცესების შესაბამისად მუდმივ განახლებას და სრულიად ახალი მახასიათებლების მქონე ტექნოლოგიური აღჭურვილობის პროექტირებას და დამზადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდება ისეთი პარამეტრების მქონე მექატრონული სისტემებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების თუ ცალკეული კვანძებისა და დეტალების დამზადება, რომელიც აუცილებელია „ინდუსტრია-4“-ის გამოწვევის ფონზე ტექნიკის განვითარების წინაშე მდგარი პრობლემების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

ამჟამადაც, გრძელდება ლაბორატორიაში სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით და ერთ-ერთი სამეცნიერო მიმართულებაა ახალი კონსტრუქციის ცვალებადი ასვლის კუთხის (ა) მქონე სპირალურღარიანი ბურღების კონსტრუქციის და დამზადების ტექნოლოგიის სისტემატური გაუმჯობესება. ასეთი კონსტრუქციის ბურღები საშუალებას გვაძლევს თანდათან შევამციროთ ბურღის მუშა ნაწილის დიამეტრი, რადგანაც ბურღის წვერთან (ა) კუთხეს ექნება ისეთი მნიშვნელობა, რომელიც გააუმჯობესებს ჭრის პირობებს და ამ ზონიდან ბურბუშელის გამოტანის პროცესებს, ხოლო შემდეგ (ა) კუთხის მნიშვნელობა თანდათან შეიცვლება და სპირალური ღარის ბოლოს, ანუ ბურღების გატეხვის ადგილზე მიიღებს ისეთ მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს ბურღის მაქსიმალურ სიმტკიცეს დამუშავების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

მიღებულია პატენტი ბურღის ასეთ კონსტრუქციაზე და აგრეთვე ცვალებადბიჯიანი სპირალური ღარის მქონე ინსტრუმენტების დასამზადებელ სამარჯვებზე, რომლის თანაავტორი მეც გახლავართ.

შექმნილია სპეციალური, მრავალჯერ გაუმჯობესებული კონსტრუქციის სამარჯვი ასეთი ტიპის სპირალური ღარების მისაღებად. შექმნილია აგრეთვე მიკროინსტრუმენტებით მუშაობის დროს ღერძული ძალების და მგრეხავი მომენტების გამზომი სპეციალური პრეციზიული დინამომეტრები, რომელთა საშუალებითაც ჩატარდა ექსპერიმენტები დამზადებული ბურღების სხვადასხვა პარტიებზე ერთმანეთთან და სტანდარტულ ბურღებთან შესადარებლად.

მინიატურიზაციის ყოველი ეტაპის განხორციელების შემდეგ ყველა ეს სამუშაო ტარდება თავიდან უფრო რთულ პირობებში. ამ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ ლაბორატორიის სხვა თანამშრომლებიც, დოქტორანტები და მაგისტრანტები.

მეცნიერული სიახლე: „ინდუსტრია-4.0“ რეფორმებით გათვალისწინებული პროგრამების მიზნების მრავალმხრივი კვლევისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგენილია, რომ ახალი ტექნოლოგიების განხორციელების ტემპებს და მიღწეული შედეგების დონეს, სხვა ბევრ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ გამოყენებული მექატრონული სისტემების და მათი ცალკეული განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო მოდულების საექსპლუატაციო მახასიათებლები.

ამავე დროს შემუშავებულია აღნიშნული მახასიათებლების გაუმჯობესების გზები განსაკუთრებით იმ პერიოდებში, როდესაც აუცილებელია მინიატურიზაციის ყოველი შემდგომი ეტაპის განხორციელება და ამ პროცესების მომყოლი პრობლემების გადაწყვეტა სათანადო მიკროინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიური აღჭურვილობის შექმნით.

პრაქტიკული შედეგები და მათი გამოყენების სფეროები: ჩატარებული თეორიული კვლევების საფუძველზე დეპარტამენტის ლაბორატორიებში დაპროექტებული და დამზადებული სხვადასხვა დანიშნულების მიკროიარაღები გამოყენებულია სხვადასხვა დროს, როგორც თბილისის, ასე სხვადასხვა ქვეყნების: მაგალითად უკრაინის, რუსეთის, ბელორუსის და სომხეთის სხვადასხვა საწარმოებში და ქარხნებში, რადიოელექტრონული ხელსაწყოების, საავიაციო ტექნიკის, საიუველირო ნაკეთობების და სხვა პროდუქციის წარმოებისათვის.

სისტემატურად მიმდინარეობს ტექნიკური საშუალებების განახლება, არსებულის მოდერნიზაცია ან ახალი ტექნოლოგიური აღჭურვილობის ადგილზე შექმნა.

ამჟამადაც შემოტანილია უცხოელი კოლეგების მიერ საჩუქრად გადმოცემული პროგრამული მართვის და უნივერსალური დანიშნულების ცხრა ჩარხი, რომლებიც უახლოეს პერიოდში დამონტაჟდება და ლაბორატორიის შესაძლებლობები კიდევ უფრო გაიზრდება. მაგრამ, სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტის ლაბორატორიებში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი სალი შენადნობების ნამზადების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და ტექნოლოგიური აღჭურვილობა საშუალებას იძლევა დამზადებული სალი შენადნობის ბურღების მუშა ნაწილის დიამეტრი შემცირდეს 0.2-0.3 მმ-მდე, მაგრამ დღეისათვის უკვე მოსალოდნელია მოთხოვნილება 0.1 მმ და კიდევ უფრო ნაკლები დიამეტრის ბურღებზე. ამიტომ დეპარტამენტის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა უკვე დგამს გარკვეულ ნაბიჯებს და მიმდინარეობს მოლაპარაკებები საქართველოში რამოდენიმე საწარმოსგან შემდგარი კონგლომერატის შექმნაზე, სადაც ერთ-ერთი საწარმო იქნება სწორედ აღნიშნული მიმართულების, კერძოდ: „პრეციზიული სამანქანათმშენებლო ნაკეთობების, ტექნოლოგიური

აღჭურვილობების და მექატრონული სისტემების მოდულების პროექტირება და წარმოება“.

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში ტექნიკური უნივერსიტეტის რამოდენიმე პროგრამის და პირველ რიგში „მექანიკის ინჟინერიის და საწარმოო ტექნოლოგიის“ სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებს და ახალგაზრდა მეცნიერებს ექნებათ შესანიშნავი ბაზა, როგორც სასწავლო პროცესის ასევე სამეცნიერო საქმიანობის მიმართულებით საინტერესო სამუშაოების შესასრულებლად

სამუშაოს აპრობაცია: შესრულებული სამუშაოს ცალკეული შედეგები მოხსენებულია როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქვეყნებში ჩატარებული მაღალი დონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სემინარებზე ბოლო ხუთ წელიწადში: ინგლისში, იტალიაში, საბერძნეთში, პორტუგალიაში, სერბეთში, ბულგარეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, რუმინეთში, უკრაინაში.

გამოქვეყნებულია აგრეთვე ა.შ.შ.-ის და ამავე ქვეყნების მაღალრეიტინგულ ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში, რომლებიც მითითებულია კონკრეტულად გამოქვეყნებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

ბევრი მათგანი დაჯილდოვებულია სპეციალური დიპლომებით და სერთიფიკატებით, რომელთა ასლები განთავსებულია სადისერტაციო ნაშრომის დანართში.

სამუშაოს მოცულობა და სტრუქტურა: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და დასკვნებისაგან. ნაშრომი წარმოდგენილია 133 გვერდზე, მოიცავს 13 სურათს, 21 ცხრილს, 19 გრაფიკს, 122 დასახელების გამოყენებულ ლიტერატურას და 2 დანართს 26 გვერდზე.

დისერტაციის შედეგები

პირველ თავში ლიტერატურის მიმოხილვა შესულია არსებული ლიტერატურის ანალიზი იმის შესახებ თუ როგორ მოხდა კაცობრიობის არსებობის 20 საუკუნის მანძილზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითად ეტაპებად დაყოფა.

2005 წელს შეიკრიბნენ მსოფლიოს მსხვილი სამეცნიერო ცენტრების ხელმძღვანელები, ცნობილი უნივერსიტეტების რექტორები და ტექნიკის სხვადასხვა დარგის დამსახურებული მეცნიერები. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალებოდა წარმოდგინა წინადადება თუ რამდენ ძირითად ეტაპად შეიძლება დაყოფილიყო განვითარების მთელი აღნიშნული პერიოდი, რომელიც მოიცავდა განვითარების თითქმის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს და ამავე დროს თითოეულ ეტაპს უნდა მინიჭებოდა თავისი სახელი, თუ რა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა იმ პერიოდში.

განხორციელდა კომისიის ძალიან ბევრი სხდომა, სადაც წარმოდგენილი იქნა რამოდენიმე ახალ-ახალი ვარიანტი რომელთა განხილვაც ტარდებოდა დამაბული მძაფრი კამათის პირობებში. ამ საკითხის გადაწყვეტას და საბოლოო ვარიანტის დადგენას დასჭირდა თითქმის 5 წელი. ოპტიმალურ ვარიანტად ჩაითვალა მთელი პერიოდის დაყოფა ოთხ ეტაპად, ანუ განვლილ პერიოდში განხორციელებული და დასრულებული იყო სამი სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია და ამჟამად ვიმყოფებით მეოთხე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის დაწყებით ეტაპზე, რომელსაც შემოკლებულად დაერქვა „ინდუსტრია-4.0“

რომელ ეტაპზე რა ძირითადი სამეცნიერო-ტექნიკური საკითხები გადაწყდა და რა საკითხების გადაწყვეტაა ნავარაუდები ამჟამად დაწყებული „ინდუსტრია-4.0“-ის პერიოდში, მოკლედ განხილულია თემის აქტუალობის ნაწილში. დაწვრილებითი ინფორმაცია თითოეული დასრულებული სამი ეტაპის შესახებ

განხორციელების პერიოდების ჩვენებით მოცემულია სადისერტაციო ნაშრომში. დაწვრილებით არის აღწერილი მიმდინარე „ინდუსტრია-4.0“-ის რეფორმების ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და მათი როლი თითოეული ქვეყნის განვითარების დაჩქარების საქმეში. აქვეა ნაჩვენები, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული მისი მოკლე განმარტება, რომელშიც მკაფიოდ ჩანს ინდუსტრია-4.0 რეფორმების მიზანი და რამდენად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაა ჩაფიქრებული და ნებისმიერი მკითხველისათვის ნათელი გახდება რამდენად მნიშვნელოვანი ნახტომისებური განვითარება ხორციელდება მსოფლიოში და ყველა იმ ქვეყანაში, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული აღნიშნული რეფორმების განხორციელების საქმეში. აღნიშნული განმარტება ჟღერს შემდეგნაირად:

“ინდუსტრია-4.0” რეფორმის საბოლოო მიზანია რთული საწარმო-ტექნოლოგიური და ადმინისტრაციულ-ფინანსური ოპერაციების სრული ავტომატიზაცია და მათი დისტანციური მართვა სუპერთანამედროვე მექატრონული სისტემების მეშვეობით.

განმარტებიდან კარგად ჩანს რამდენად მნიშვნელოვანი იქნება აღნიშნულ თანამედროვე ტექნოლოგიებში ჩართვა ნებისმიერი პიროვნებისათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის იმ წარმომადგენლებისათვის, რომლებსაც საბაზისო განათლება და პროფესიული უნარები მისცემენ ამის საშუალებას.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში წარმატებით დაინერგოს „ინდუსტრია-4.0“-ის რეფორმებით გათვალისწინებული ტექნოლოგიები, აუცილებელია, როგორც მოსახლეობა ასევე საწარმოების დიდი ნაწილი სრულ მზადყოფნაში იყვნენ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვასა და მათ მომსახურებისათვის.

მეორე თავში გაანალიზებულია იმ მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომლითაც ევროგაერთიანების სპეციალური კომისია პერიოდულად აფასებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, როგორც მოსახლეობის, ასევე ძირითადი საწარმოების მომზადების დონეს, რათა უპრობლემოდ განახორციელოს თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა და მათი ეფექტური მომსახურება.

სადისერტაციო ნაშრომში დაწვრილებით არის ნაჩვენები ამ უახლესი კვლევების მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება, იზრდება სიტუაციების შეფასების კრიტერიუმების რაოდენობა, რითაც მუდმივად ზუსტდება სხვადასხვა ქვეყნებში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ტემპები, ფასდება საწარმოებში, ორგანიზაციებსა და ხელმძღვანელ ორგანოებში გამოყენებული ელექტრონული მმართველობის გამოყენების დონე და ა.შ.

დღეისათვის, უკვე თერთმეტამდე გაიზარდა ამ კოეფიციენტებისა და პარამეტრების რაოდენობა და მომავალში ალბათ კიდევ უფრო გაიზრდება. ამავე თავში ნაჩვენებია რომელი პარამეტრებია უფრო მნიშვნელოვანი და მინიმალურად საკმარისი ამა თუ იმ ორგანიზაციაში შესასწავლი საკითხის სწრაფი შეფასებისათვის.

სამუშაოში დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ქვეყნის ბოლო 8-10 წლის სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც აღებულია ევროკომისიის კვლევებიდან და ჩვენს მიერ ჩატარებულია სტატისტიკური ანალიზი წლების მიხედვით. ამის საფუძველზე შექმნილია საუკეთესო გრაფიკული მასალა და გაკეთებულია სათანადო დასკვნები. აქვე მოვიყვანთ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვან დასკვნას, რომ საქართველო ბოლო წლების განმავლობაში მყარად იკავებს საპატიო ადგილს პირველ ათეულში 200-მდე ქვეყანას შორის. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ახალგაზრდა თაობა და ძირითადი მოქმედი

საწარმოები პრაქტიკულად მომზადებულია "ინდუსტრია-4.0"-ის პროგრამებით გათვალისწინებული რეფორმების ჩასატარებლად, რაც თავის მხრივ საგრძნობლად შეუწყობს ხელს აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის კიდევ უფრო განვითარებისათვის საჭირო შეღავათიანი კრედიტების და გრანტების მოპოვების პროცესებს.

ამავე თავში მოყვანილია ანალიზი იმ მიზეზებისა, რომლებიც განსაზღვრავენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისათვის „ინდუსტრია-4.0“-ის პროგრამებით გათვალისწინებული ტექნოლოგიების დროულად ათვისება. სათანადო მაგალითების მოყვანით მტკიცდება, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში უკვე დანერგილია აღნიშნული ახალი ტექნოლოგიები ბევრ სხვა უპირატესობებთან ერთად, ასეთი ქვეყნები გაცილებით უფრო მარტივად უმკლავდებიან ნებისმიერი პანდემიით გამკაცრებულ რეგულაციებს. საქმე იმაშია, რომ „ინდუსტრია-4.0“-ის პროგრამებით დანერგილი ტექნოლოგიები საგრძნობლად აუმჯობესებენ კომუნიკაციებს პიროვნებებსა და კოლექტივებს შორის ონლაინის მეშვეობით. საწარმოების მუშაკთა დიდი ნაწილი მუშაობს სახლში და შესრულებული სამუშაოს მასალებს აწვდის ხელმძღვანელობას, სატრანსპორტო და სასაწყობო სამსახურების ავტომატიზაცია ამცირებს მომსახურე პერსონალის რაოდენობას, რობოტების და ავტომატური ხაზების ფართოდ დანერგვა და კიდევ ბევრი სხვა ღონისძიებები საგრძნობლად ამცირებს ინფექციის გავრცელების ტემპს და შესაბამისად დაავადებულ თანამშრომელთა რაოდენობას და ა.შ.

სადისერტაციო ნაშრომში მოყვანილი კიდევ სხვა ბევრი მაგალითები ნათლად მეტყველებენ თანამედროვე ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვასა და მათი ეფექტურობის კიდევ უფრო გაზრდაზე.

ამ საკითხების განხორციელებას ემსახურება სამუშაოს შემდგომ ძირითად ნაწილში ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგები და მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები.


მესამე თავში მოცემულია სამუშაოს შედეგები და მათი განსჯა, სადაც აღწერილია მიკრობურლების დამზადების თავისებურებები და გაანალიზებულია განახლებულ მოწყობილობებზე მათი დამზადების ცალკეული ოპერაციები და მათი გამოცდის ძირითადი შედეგები.

კვლევები დაიწყო პროცესის ძალოვანი მაჩვენებლების პარამეტრების ცვლილების შესწავლით - მგრეხავი მომენტი და ღერძული ძალა, რაც დამოკიდებულია ბურღვის სიღრმეზე და ჭრის რეჟიმზე მინაბოჭკოსგან დამზადებულ ნაბეჭდ ფილებზე ნეხვრეტების მიღებისას.


ღერძული ძალის შესაფასებლად, დამზადდა მოწყობილობა ცნობილი მეთოდებისა და არსებული ანალოგების საფუძველზე, საზომი ელემენტით, რომელიც ტენზომეტრული სისტემაა დამაგრებული კორპუსის დრეკად ელემენტებზე.

რაც შეეხება მგრეხი მომენტის გაზომვას, ჩვენ შემთხვევაში არსებული ირიბი მეთოდის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია ჭრის პროცესის სიმძლავრის გაზომვაზე, გაუმართლებელია, ვინაიდან ბურღვისას სიმძლავრის მაჩვენებლები იმდენად დაბალია, რომ მათი დაფიქსირება დღეს არსებული სტანდარტული აპარატურით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად გამოყენებულ უნდა იქნას მეთოდი, რომელიც მოგვცემს საშუალებას გაიზომოს უშუალოდ მგრეხავი მომენტი ამასთანავე მაღალი სიზუსტით. ამ მიზნით ჩვენს მიერ დაპროექტებული და დამზადებულია სპეციალური მოწყობილობა, სადაც ნამზადების მაგიდა დამაგრებულია ვერტიკალურ ღერძზე კუთხური მობრუნების შესაძლებლობით. თავის მხრივ მაგიდის ღერძი აღჭურვულია ღარით, რომლის სიბრტყე გადის ღერძის სიმეტრიულად და განსაზღვრული

მხრით მოქმედებს დრეკად გამზომ ელემენტზე. გამზომ ელემენტად აქ გამოიყენება დრეკად მაგიდაზე დამაგრებული ტენზომომენტული მალალი გამზომი სიზუსტით.(მგრძნობელობა 0.1 გრამი) (სურ. 1-2)




ნახ.1. დრეკული ძალის გამზომი მოწყობილობა.



ნახ.2. მგრეხი მომენტის გამზომი მოწყობილობა

ექსპერიმენტები ჩატარდა BK60M მარკის სალი შენადნობის ბურღებით 0,9 მმ დიამეტრის, მუშა ნაწილით 10 მმ. წინა კუთხე და შესაბამისად, სპირალური ღარის დახრის კუთხე არის 30° და უკანა კუთხის 17°.

განხორციელდა ბურღვა 1.6 მმ სისქის მქონე მინაბოჭკოსგან შემდგარ ნაბეჭდ ფილებზე, რომელიც შედგებოდა 8 მმ სისქის 5 ფირფიტისგან (ნახ. 3) ექსპერიმენტები ხორციელდებოდა გერმანული წარმოების პროგრამული მართვის ჩარხზე AL 640 (ნახ. 4)




ნახ.3. 5 ფირფიტისგან შემდგარი ნაბეჭდი ფილების სქემა 1-სპილენძის ფირფიტა, 2- მინაბოჭკო, 3- სპილენძის ფირფიტის ორმაგი ფენა.




ნახ. 4. პლატების საბურღი სპეციალური გერმანული წარმოების პროგრამული მართვის ჩარხი მოდ. AL640

საბურღი სამუშაოები განხორციელდა სხვადასხვა ჭრის რეჟიმებზე და ყოველი 1 მმ სიღრმეზე ფიქსირდებოდა საზომ მოწყობილობებზე. ექსპერიმენტების შედეგები ნაჩვენებია. 5 და 6. ნახაზზე



ნახ. 5. მგრები მომენტის ცვალებადობის გრაფიკი სტანდარტული ბურღებისთვის



ნახ.6. ღერძული ძალის ცვალებადობის გრაფიკი სტანდარტული ბურღებისთვის

ამ შედეგებისგან ნათლად ჩანს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭრის პროცესის ზემოქმედების ძალა თანდათანობით იზრდება სიღრმის გაზრდისას. ამ შემთხვევაში, თუ ღერძული ძალა იზრდება დაახლოებით 1.5-ჯერ, მგრეხავი მომენტის მაჩვენებელი იზრდება 3-4 ჯერ.

ძალის ასეთი მაჩვენებლის ზრდა განპირობებულია იმით, რომ ბურღის წიბო ბურღვისას სიღრმის მატებასთან ერთად არ იცვლება, ერთადერი მიზეზი ამისა შეიძლება იყოს დამუშავებული ნახვრეტის ზედაპირთან მტვრისებური ბურბუშელის ფართობის ზრდა და ამის შედეგად გაზრდილი ხახუნის ძალა.


აღსანიშნავია, რომ ღერძული ძალის მკვეთრი ვარდნა 2-3 და 5-6 სიღრმის უბნებზე განპირობებულია სპილენძის ფენის ამ უბნებზე არ არსებობით (ნახ. 6)

მჭრელი ინსტრუმენტის მყიფე რღვევის შესაძლებლობის ზრდის მთავარი ფაქტორი ამ ორი სიმძლავრის მაჩვენებლიდან შეიძლება იყოს არა ღერძული ძალის ზრდა არამედ მგრეხავი მომენტის პროგრესული ზრდა, იმის გამო, რომ სალი შენადნობის მასალის მაჩვენებლები კუმშვაზე გაცილებით მეტია ვიდრე გრეხვაზე.

ჭრის ზონიდან ბურბუშელას გამოტანის პროცესის აჩქარება დაეხმარებოდა ხახუნის ძალის შემცირებას და შესაბამისად ბურღვის პროცესის საიმედოობის გაზრდას. ღრმა ნახვრეტების ბურღვისას ბურბუშელას ამოღების პრობლემას წყვეტენ სახვადასხვა გზებით. მაგ: მსხვილი ზომის ბურღებით ბურღვა ხდება გამორეცხვის მეთოდით საცხებ გამაგრილებელი სითხის მეშვეობით, რომელიც შეყავთ ნახვრეტში ბურღის სხეულში არსებული არხებით. სხვა შემთხვევაში, როდესაც ბურღების ზომა არ იძლევა შესაძლებლობას ზემოთაღნიშნული მეთოდით გამაციებელი სითხის მიწოდებისა, ბურბუშელას მოცილების მიზნით იყენებენ წყვეტილი ბურღვის მეთოდს, რომლის დროსაც გარკვეული სიღრმის გაბურღვის შემდგომ პერიოდულად ხდება ბურღის მოცილება ნახვრეტიდან სწრაფად.

ამ მეთოდების გამოყენება ჩვენს შემთხვევაში მიუღებელია ვინაიდან საქმე გვაქვს მიკრობურლებთან და საცხებ-გამაგრილებელი სითხეების გამოყენება ნაბეჭდი ფილების წარმოებაში დაუშვებელია. არამიზანშეწონილია წყვეტილი ბურღვის მეთოდიც, რადგანაც ამან შეიძლება მიგვიყვანოს წარმოების ძლიერ დაცემამდე. მიკრობურლებით ღრმა ნახვრეტების დამუშავებისას ბურბუშელის მოცილების ამაჩქარებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს ბურღის სპირალური ღარის ბიჯის გაზრდა, ანუ დახრის კუთხის შემცირება. ბურღის წინა კუთხის შემცირებამ შეიძლება მიგვიყვანოს ჭრის პირობების გაუარესებამდე. თუ ბურღის კონსტრუქციას შევასრულებთ იმგვარად, რომ წვერთან შევინარჩუნებთ ჭრის პროცესისათვის მაქსიმალურად ეფექტურ წინა კუთხეს და შესაბამისად ა კუთხეს, ხოლო სპირალური ღარის ბოლოსკენ თანდათან შევამცირებთ მის მნიშვნელობას, მივიღებთ ბურღს სპირალურ ღარის ცვალებადი დახრის კუთხით, რაც უზრუნველყოფს ბურბუშელის მოცილების პროცესის აჩქარებას და ამავე როს ბურღვის პირობების გაუმჯობესებას. 7-ე ნახაზზე ნაჩვენებია ბურღის სპირალური ღარის ცვალებადი დახრის კუთხის სქემა, სადაც ღარის დახრის კუთხე ბურღის წვერთან α_0 , ხოლო მუშა ნაწილის ბოლოს α_1 . ღარის სიგანე ღარის პერპენდიკულარულ კვეთაში B_n მთელ სიგრძეზე არ იცვლება, მაგრამ იცვლება ტორსულ კვეთაში და წვერთან შეადგენს

$$: B_{T_0} = \frac{B_n}{\cos \alpha_0}, \text{ ხოლო სამუშაო ნაწილის ბოლოში: } B_{T_1} = \frac{B_n}{\cos \alpha_1}.$$



ნახ. 7. სპირალური ღარის ცვალებადი დახრის კუთხის სქემა,
 A-A – ბურღის ღერძის პერპენდიკულარული სიბრტყის ჭრილი:
 I - ბურღის მუშა ნაწილი, II – ღარის პროფილი.
 B-B – ბურღის ღარის პერპენდიკულარული სიბრტყის ჭრილი:
 III - ბურღის მუშა ნაწილი, IV – ღარის პროფილი.

იცვლება ბურღის სასარგებლო ტორსული კვეთიც, რომლის მნიშვნელობა წვეროსთან:

$$S_o = \frac{\Pi d^2}{4} - \frac{2S_n}{\cos \alpha_0} , \quad (1)$$

ხოლო მუშა ნაწილის ბოლოში:

$$S_1 = \frac{\Pi d^2}{4} - \frac{2S_n}{\cos \alpha_1} , \quad (2)$$

სადაც S_n ღარის ფართობია პერპენდიკულარულ კვეთში, d - ბურღის მუშა ნაწილის დიამეტრი.

თუ გავითვალისწინებთ, რომ $\alpha_0 > \alpha_1$ ზე გამოდის რომ მუშა ნაწილის ბოლოსკენ ბურღის სასარგებლო კვეთი ძლიერდება, ანუ ასეთი ბურღები სტანდარტულ ბურღებთან შედარებით უნდა გაუძლოს უფრო მეტ დატვირთვებს.

ასეთი ბურღების დამზადება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. სტანდარტული ბურღების დამზადებისას სპეციალური სამარჯვი ახორციელებს ორი მოძრაობის ურთიერთშეთანხმებას- ნამზადის ბრუნვას და მის გადაადგილებას ღერძული მიმართულებით ისე, რომ თვითოეულ ბრუნზე ნამზადი გადაადგილდება თანაბარი სიჩქარით სპირალური ღარის ერთ ბიჯზე. ცვალებადი ბიჯის შემთხვევაში მიწოდება ხორციელდება განსაზღვრული აჩქარებით, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს სპირალური ღარის დახრის კუთხის თანაბარი შემცირება მთელ სიგრძეზე. ამის გამო საჭირო შეიქმნა არსებული სამარჯვის მოდერნიზირება და მიწოდების მუშტა მექანიზმში არქიმედეს სპირალიანი მუშტა შეცვლილ იქნა მუშტათი, რომლის პროფილი დამზადდა სპირალური ღარის დახრის კუთხისა და შესაბამისად ბიჯის ცვალებადობის კანონიდან გამომდინარე გაანგარიშების მიხედვით. გარდა ამისა სპირალური ღარის დახრის კუთხის ცვალებადობის გამო ასეთი ღარების ხეხვისას აუცილებელია დამუშავების პროცესში იცვლებოდეს სახეხი ქარგოლის ორიენტაცია ბურღის ღერძის მიმართ ღარის დახრის კუთხის


